

მართვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

ქიქოძე ნუნუ – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Problems Formed During Management and Their Solutions

Kikodze Nunu – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: In this paper there is presented the character of resistance of managing system, the classification of problems and the most widely used methods for increasing creativity, which serve to control Management Resistance. It is known, that correctly identified and well-managed organizational processes are guarantee for success of every company. Processes create the system, the system creates product or perform service which is intended to specific customer. Effective system management is a kind of art and each management level of the organization should possess the ability to establish and manage them. It is approved, that at the time of solving management problems it is likely to appear varieties of incompatibilities. Their failure to resolve derives from non-fulfilment or inappropriate execution of management functions. As a result, later “the pyramid of the problems” is formed. Management in its broad sense is a continuous process, which involves impact on the management objects like people, staff, technical and technological process, enterprises, institution and state, that is implemented with specific instruments and methods. This paper’s actuality is caused to make them perfect as well as to create new methods and instruments. The main goal and objective of the survey is to increase the efficiency of management systems in accordance with all the challenges that most modern managements’ efforts are facing. The task is not only to find efficient management methods and techniques, but to search and develop more objective and effective criteria of result monitoring.

Research methodology: The theoretical and methodological foundation of the paper is the fundamentals of modern management theories, as decision-making methods, techniques and methodologies.

Results and implications: The paper analyzes that at the time of solving management problems varieties of incompatibilities and contradictions may appear and their failure to resolve derives from non-fulfilment or inappropriate execution of management functions; the concept - critical creativity is defined as success index measured by time; the rules for managing system development are presented; the opportunities to solve the problems emerged at management process and implementing them practically are developed and stated in this paper.

Conclusion: The paper analyzes that at the time of solving management problems varieties of incompatibilities and contradictions may appear and their failure to resolve derives from non-fulfilment or inappropriate execution of management functions; the concept - critical creativity is defined as success index measured by time; the rules for managing system development are presented; the opportunities to solve the problems emerged at management process and implementing them practically are developed and stated in this paper.

Keywords: market relations, competence, problem, management, organization, solution.

მესავალი და მიზანი: ნაშრომში წარმოდგენილია მართვის სისტემის წინააღმდეგობების ბუნება, პრობლემების კლასიფიკაცია და შემოქმედებითი აზროვნების ზრდის ყველაზე ფართოდ გამოყენებული მეთოდები, რომლებიც ემსახურება მართვის წინააღმდეგობების გადაჭრას. ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციის წარმატების საწინდარი სწორად განსაზღვრული და ეფექტურად მართული ორგანიზაციული პროცესებია. პროცესები ქმნიან სისტემას, სისტემა კი ქმნის პროდუქტს ან ეწევა მომსახურებას რომელიც კონკრეტული მომხმარებლისთვისაა განკუთვნილი. სისტემის ეფექტური ფუნქციონირება ერთგვარი ხელოვნებაა, რომლის შექმნის და მართვის უნარს უნდა ფლობდეს ორგანიზაციის სხვადასხვა რგოლის მენეჯმენტი. დამტკიცებულია, რომ მართვის პრობლემების გადაჭრის დროს წარმოიქმნება სხვადასხვა შეუთავსებლობები და წინააღმდეგობები, რომელთა გადაუჭრელობა მართვის მთავარი ფუნქციების შეუსრულებლობიდან ან არასათანადო შესრულებიდან გამომდინარეობს, რის შედეგადაც შემდგომში იქმნება „პრობლემების პირამიდა“. მართვა, ფართოდ გაგებით, ხომ უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს მართვის ობიექტებზე ზემოქმედებას (პიროვნება, კოლექტივი, ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესი, საწარმო, ინსტიტუცია, სახელმწიფო), რომელიც კონკრეტული ინსტრუმენტებით და მეთოდებით ხორციელდება. აღნიშნული ნაშრომის აქტუალურობა სწორედ მათი სრულყოფის, აგრეთვე ახალი მეთოდების და ინსტრუმენტების შექმნის მიზნით არის განპირობებული. კვლევის ძირითად მიზანს და ამოცანას წარმოადგენს მართვის სისტემათა ეფექტიანობის ზრდა იმ გამოწვევების შესაბამისად, რომლის წინაშეც დგას თანამედროვე ორგანიზაციების

მმართველობითი საქმიანობის საქმიანობის წინაშე. ამოცანას წარმოადგენს არა მხოლოდ უფრო ეფექტიანი მმართველობითი მეთოდების და მეთოდის ძიება, არამედ შედეგების მონიტორინგის უფრო ობიექტური და ეფექტიანი კრიტერიუმების კვლევა და ფორმირება.

კვლევის მეთოდოლოგია: ნაშრომში განხილულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე მართვის თეორიების, როგორც გადაწყვეტილებების მიღების მეთოდის, მეთოდის და მეთოდოლოგიის საფუძვლები.

შედეგები და გამოყენება: ნაშრომში გამოკვლეულია, რომ მართვის პრობლემების გადაჭრის დროს წარმოიქმნება სხვადასხვა შეუთავსებლობები და წინააღმდეგობები, რომელთა გადაუჭრელობამ მართვის მთავარი ფუნქციების შეუსრულებლობიდან ან არასათანადო შესრულებიდან გამომდინარეობს, განსაზღვრულია კრიტიკული კრეატიულობის მცნება როგორც დროში გაზომვადი წარმატების მაჩვენებელი. მოცემულია მართვის სისტემის გაუმჯობესების წესები. შემუშავებული და წარმოდგენილია მართვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისა და პრაქტიკულად განხორციელებადი შესაძლებლობები.

დასკვნა: მართვა, უწყვეტი პროცესია, რომელიც კონკრეტული ინსტრუმენტებით და მეთოდებით ხორციელდება. სწორედ მათი სრულყოფის, აგრეთვე ახალი მეთოდების და ინსტრუმენტების შექმნის მიზნით არის განპირობებული მმართველობითი საქმიანობის ეფექტურობა.

საკვანძო სიტყვები: საბაზრო ურთიერთობები, კონკურენცია, პრობლემა, ორგანიზაცია, გადაწყვეტილება.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში უაღრესად დიდია ბიზნესის როლი და მნიშვნელობა. დღეს ჯანსაღი ბიზნესის განვითარების პირობები განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. ამიტომ ბიზნესი ხდება საქართველოს ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი. აქედან გამომდინარე თანამედროვე ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირება წარმოუდგენელია სწორი მენეჯმენტის გარეშე. მენეჯმენტის დამახასიათებელი ნიშნები მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ასპექტებს. ეკონომიკური ასპექტი გულისხმობს ბიზნესის მართვის პროცესს, რომლის დროსაც მიიღწევა მატერიალური და შრომითი რესურსების კოორდინირება, რაც აუცილებელია ბიზნესის ეფექტიანი მიღწევისათვის. სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი ახასიათებს ფირმის მთელი პერსონალის ძალისხმევას ორგანიზაციის და მენეჯერთა განსაკუთრებული ჯგუფის საქმიანობას დასახული მიზნების მისაღწევად. მუდმივად ცვალებადი გარემო საწარმოებისაგან მოითხოვს მართვის სისტემის სრულყოფას. ბოლო პერიოდში ბიზნესის არასტაბილური განვითარების მიზეზი სწორედ მის მენეჯმენტში დაშვებული შეცდომები და ხარვეზებია.

ბევრი პრობლემა ქართულ ორგანიზაციებში იგივეა, რაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. განვითარების იგივე ფაზაში მყოფ ქვეყნებში, მოქმედ ორგანიზაციებთან, განსაკუთრებული მსგავსებებია. თუმცა ჩვენი ეროვნული ხასიათი და კულტურული თავისებურებები, საქმის კეთების ტრადიციები და ისტორია განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქართული ორგანიზაციების მუშაობის სპეციფიკაზე. გამოარჩევს მას სხვა ქვეყნების ბევრი ორგანიზაციისაგან. ანალიზის შედეგად ვეცადეთ, გამოგვეყო ის ძირითადი პრობლემები, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ხშირად გვხვდება. სხვადასხვა ორგანიზაციებში, მათი აქტუალურობის და სიმძიმის განსხვავებიდან გამომდინარე, არ გვიცდია, რაღაც უფრო გამოკვეთილი თანმიმდევრობით დაგველაგებინა ეს პრობლემები. თუმცა, ვფიქრობთ, ყველა მკითხველი, სტატიის კითხვისას, ბევრ მისთვის ნაცნობ და მტკივნეულ საკითხს წააწყდება.

ქართულ კომპანიებსა და ორგანიზაციებში არსებულ პრობლემებზე ბევრს საუბრობენ. ეს საკმაოდ ლოგიკურია, რადგან საბაზრო ეკონომიკა, სულ რაღაც ორი ათეული წელია რაც ცდილობს თავის დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში. საბაზრო ეკონომიკა და ორგანიზაციულ განვითარებას შორის კი მიზეზ-შედეგობრივი კავშირია. რაც უფრო მეტად კონკურენტულ გარემოში უწევს ორგანიზაციას ყოფნა, მით უფრო მეტად მოტივირებულია ხელმძღვანელობა გუნდის განვითარებაზე და პირიქით. საინტერესოა, „მენეჯმენტის“ რა ძირითადი პრობლემები და უახლოესი პერსპექტივები გვაქვს:

პრობლემა 1

საქართველოში ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ბერკეტი მენეჯმენტის „ქართული გაგება“. მარკეტინგული სამსახურების არარსებობა, თუნდაც ერთი მენეჯერ-მარკეტოლოგის არსებობა ორგანიზაციაში.

პრობლემა 2

ბიზნესის მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მენეჯმენტის კუთხით არაპროფესიონალური კადრების არსებობა .

საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის სხვადასხვა უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც უზრუნველყოფს მათ მენეჯერულ საქმიანობას ორგანიზაციაში. როდესაც ეკონომისტი, იურისტი, ჟურნალისტი ან სხვა პროფესიის მქონე პიროვნება ხდება ამა თუ იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ლოგიკურია, რომ მას არ აქვს ორგანიზაციის/კომპანიის მართვის თეორიული ცოდნა.

პრობლემა 3.

სამწუხაროა, რომ ხელმძღვანელებს ხშირად ავიწყდებათ თანაშრომლებისათვის მაღლობის გადახდა, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ძირეულ/დაბალ რგოლს განეკუთვნებიან, რადგან, როგორც წესი ყველაზე ადრე ოფისში დამლაგებლები მოდიან, რომ არა მათი წარმატებით მუშაობა, შეუძლებელია ხასიათი არ გაუფუჭდეს თანამშრომელს, რომელიც შვეა ოთახში და დაინახავს მტვრიან მაგიდას ან ნაგვის სავსე ურნას.

პრობლემა 4

სისტემური პრობლემების უდიდესი ნაწილი მენეჯმენტის გუნდის წევრებს შორის პასუხისმგებლობების, ამოცანების და ფუნქციების არასწორი განაწილებისაგან იღებს სათავეს და, როგორც წესი, სწორედ ამ კუთხით სტრუქტურაში არსებული ხარვეზებით გამოწვეული პრობლემები ყველაზე დიდ და ყველაზე მტკივნეულ წინააღმდეგობებს ქმნის საწარმოს გამართული მუშაობისათვის.

პრობლემა 5

ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის მენეჯმენტის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საწარმოებში ვერ ხდება ბიზნეს სიტუაციების დროული ამოცნობა და შეფასება, სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება. ადვილია მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ მნელია მიიღო სწორი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღება არის ფორმალური დადგენა, როგორც პროცესის იდენტიფირება და პრობლემის გადაჭრა. პროცესი შედგება ორი მთავარი ეტაპისაგან: პრობლემების იდენტიფირება და პრობლემების გადაჭრა.

მენეჯერი უნდა ეცადოს გამოიყენოს სისტემური მიდგომები, რათა მიღწეული იქნას სწორი გადაწყვეტილების მიღება. პრაქტიკაში არის ბევრი გადაუწყვეტიელი პრობლემა. საჭიროა იმის დადგენა თუ რა არის არასწორი გადაწყვეტილების მიღების მიზეზები:

- შეზღუდული ყურადღება;
- შეზღუდული მეხსიერება;
- შეზღუდული აზროვნება;
- შეზღუდული კომუნიკაცია;

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ სწორი გადაწყვეტილების მიღება ძალზე მნიშვნელოვანია და მისი მიღებისას ეფექტური მენეჯერი უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ მომენტებს:

- გადაწყვეტილების მიღებაში ინტუიციის როლსა და მნიშვნელობას;
- მენეჯერის მიერ შიდა და გარე რესურსების გაერთიანება;
- შემოქმედობითობა - რათა მოიძებნოს სასიცოცხლოდ მთავარი, ალტერნატივები კრიზისის დროს.
- მენეჯერისთვის მთავარი უნდა იყოს არა მოკლევადიან მოგების მიღება, არამედ გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება.

დღეისათვის ბიზნესის გარემო საგრძნობლად შეიცვალა. იგი გახდა უფრო სწრაფი და უფრო კომპლექსური. ამიტომ ბიზნესის მენეჯმენტი უნდა იყოს ცვლილებებზე ორიენტირებული.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) საქართველოში განხორციელებული პროექტების ფარგლებში ბიზნესგარემო გამოიკვლიეს. ბიზნესმენებმა ძირითად პრობლემად კანონმდებლობის ხშირი ცვლილება დაასახელეს. გამოკითხულთა უმრავლესობის - 73%-ის აზრით ბიზნესგარემო საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა. აქედან გამომდინარე ბიზნესის მენეჯმენტში მნიშვნელოვანია მოქნილობა და შემოქმედებითობა. მოქნილობა არის „უნარი განსხვავებულ სიტუაციებში ცვლილებების განხორციელების, რაც საწარმოს წარმატებას მოუტანს.“

ცნობილია, რომ მცირე საწარმოებში მეწარმეების შემოქმედებითი უნარი და მოქნილობა მათ საშუალებას აძლევს სწრაფად და წარმატებით მოახდინონ რეაგირება დროისა და ტენდენციების ცვლილებებზე. როგორც ირკვევა მთელ მსოფლიოში მცირე საწარმოებში ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, მეტ სიახლეებსა და ცვლილებებს ნერგავენ, ვიდრე მსხვილი ფირმები.

შემოქმედებითობა- არის ახალი და ეფექტური იდეების წარმოება ან გამოყენება. იდეები- დღეს ეს მენეჯერთა ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტია. ისინი ამ საშუალებით იბრვიან ყოველდღიურად, ყოველთვიურად და ყოველწლიურად. ზოგნი იმისათვის რომ დაიმკვიდრონ ადგილი, ზოგიც იმისთვის რომ გადარჩეს კონკურენტულ გარემოში, ზოგიც კი იმისთვის რომ უფრო მეტი წარმატება მოიპოვონ. ყველა მათგანმა იცის რომ ბრძოლა გარდაუვალია და ამიტომაც მუდმივად სწავლობენ, ეძებენ და იკვლევენ ახალ მეთოდებსა და საშუალებებს, რათა გამარჯვება მოიპოვონ.

მენეჯერებს ძალიან ხშირად აქვთ ჩვევა თუ თვისება გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდეთ საკუთარ უნარებზე და შესაძლებლობებზე, ასევე ძალიან ხშირად ისინი ბევრად ნაკლებად აფასებენ საკუთარი ქვეშევრდომის უნარებს და შესაძლებლობებს იმასთან შედარებით ვიდრე ეს უკანასკნელნი ამას რეალურად იმსახურებენ.

სწორედ ეს ორი ცუდი თვისება, საკუთარი შესაძლებლობებზე გადამეტებული წარმოდგენა და ქვეშევრდომების უნარების არასაკმარისი დაფასება განაპირობებს ყველაზე მეტად მენეჯერებსა და თანამშრომლებს შორის კომუნიკაციაში არსებულ ძირითადად პრობლემებს.

საკმარისია მენეჯერმა მიდგომა შეცვალოს, ბევრად მეტად დააკვირდეს რა შეუძლიათ მისი გუნდის წევრებს და თუნდაც ოდნავ უფრო კრიტიკულად მიუდგეს საკუთარ სისუსტეებს და დაშვებულ შეცდომებს, რომ ურთიერთობების მკვეთრი დათბობა და კომუნიკაციის სწრაფი გაუმჯობესებაც არ აყოვნებს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი დოქტორი აბრაამ ზელენზიკი ამბობს: “რაც არ უნდა პროფესიონალურად დაგეგმო საქმიანობა, როცა შეუდგები მის შესრულებას, უამრავი გაუთვალისწინებელი პრობლემები იჩენს თავს. ამასთან, ამ პრობლემების გადაწყვეტას ვერ შეძლებ ეფექტურობის მოძველებული მიდგომებით. “აქედან გამომდინარე, წარმატებული ბიზნესისათვის მნიშვნელოვანია მისი მუდმივი განვითარება. რაც გულისხმობს საწარმოებში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვასა და სრულყოფას. ქართული საწარმოები ვერ ახორციელებენ ტექნოლოგიურ ინოვაციებს.

თანამედროვე პირობებში ბიზნესის მენეჯმენტის ხარისხი განსაზღვრავს მიმდინარე პროცესების ეფექტიანობას. რაც გულისხმობს მენეჯერთა პროფესიონალიზმს, კომუნიკაციების ეფექტიანობას. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია კომუნიკაცია მენეჯერებსა და მომუშავეებს შორის. დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია მაღალი ზნეობრივი ნორმების, ქცევის კულტურისა და დახვეწილი მანერების ჩამოყალიბება. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების სისტემა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.

საქართველოში პრობლემის გადაჭრის გზები

აუცილებელია, მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ქართული ბაზრის ანალიზი, რა მოთხოვნები არსებობს დღეს და რა ტიპის სამუშაო ძალის მიწოდება ხდება, რამდენად პასუხობს მიწოდება მოთხოვნას და პირიქით. ასევე აუცილებელია ნებისმიერი პროგრამის სტრუქტურისათვის მენეჯერული უნარ-ჩვევების გამომუშავება. საწარმომ თავის საქმიანობაში წარმატებას, რომ მიაღწიოს მისთვის აუცილებელია არამარტო ორგანიზაციული, ტექნიკური და სხვა რესურსებით უზრუნველყოფა, არამედ კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა. რადგან წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია შრომის პროცესების ისეთი ორგანიზება, რომ ყოველმა მომუშავემ ძალისხმევა და დაინტერესება გამოავლინოს თავის საქმიანობაში. იმისათვის, რომ ორგანიზაციის/კომპანიის ხელმძღვანელმა წარმატებით მართოს გუნდი, აუცილებელია ის დადებითი პიროვნება იყოს, ყოველგვარი პროფესიული უნარ-ჩვევა ფუჭია, თუკი იგი არ არის ყურადღებიანი თანამშრომლების მიმართ. აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობა პერიოდულად შეხვდეს გუნდს და ასევე, მათ მოუსმინოს ინდივიდუალურადაც. ერთ შეხვედრით, თანამშრომლებზე ზრუნვა მოითხოვს ზედმეტ დროსა და ენერგიას, რაც მაღალი რგოლის მენეჯერებისათვის საკმაოდ რთული გამოსაძებნია, თუმცა, როდესაც საქმეა გასაკეთებელი, „ჩავარდნილი“ საქმეების რაოდენობა იზრდება, პირველი ვინც გვახსენდება, ეს არიან ჩვენი თანამშრომლები, რომლებმაც უნდა იტვირთონ საკუთარ თავზე ამა თუ იმ საკითხის მოგვარება. არაერთი

კომპანიის მაგალითი არსებობს, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი არაერთ ფინანსურ კრიზისსა და გამოწვევას, ხშირად თანამშრომლები თავად გამოთქვამდნენ სურვილს ხელფასის შემცირების ან საერთოდაც უარს ამბობდნენ ხელფასის აღებაზე, იმიტომ რომ გრძნობდნენ რომ ეს გუნდი, სადაც ისინი მუშაობდნენ იყო მათი ოჯახის ტოლფასი, საშუალება დროისა და ენერჯის ეფექტურად დახარჯვის. (იაპონიის მაგალითი) ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც თანამშრომლები ითხოვენ ხელმძღვანელებისაგან, ეს არის მადლობის თქმა და დაფასება, რომელიც არ გამოიხატება მხოლოდ ფულით. აუცილებელია თვეში ერთხელ მაინც თათბირის ჩატარება და აღნიშვნა თუ ვინ იყო გამორჩეული გუნდის წევრებს შორის, აღნიშნული შეხვედრები თანამშრომლებს მოტივაციას უმაღლებს და ასევე იძლევა საშუალებას სხვადასხვა მინი-პრობლემების, საკითხების მოგვარების. მენეჯერის უმთავრესი ამოცანაა ორგანიზაციული კულტურის შემოქმედებითი ინოვაციური კლიმატის შექმნა, რომლებიც ასტიმულებენ მუშაკთა სწრაფვას სიახლეებისაკენ. იმედია ქართველი მენეჯერები მალე გაიაზრებენ სრულად საკუთარ პასუხისმგებლობას და მომრავლდება ორგანიზაციები, რომელთა თანამშრომლებიც კმაყოფილნი იქნებიან სამსახურით და თანამშრომლები მხოლოდ იმიტომ არ იმუშავენ მათთან, რომ „წასასვლელი არსად აქვთ“.

ამდენად, თანამედროვე ქართულ ბიზნესს, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეუძენია თანამედროვე ცივილიზებული ფორმა და შინაარსი, ბევრი რამ აქვს დასახვეწი და განსავითარებელი, რაშიც გამდამწყვეტი როლი მენეჯმენტს უკავია. სწორედ, მენეჯმენტის პრინციპებისა და მეთოდების ეფექტური გამოყენება საწარმოს ხელმძღვანელობას აძლევს საშუალებას უზრუნველყონ მომხმარებელთა მაღალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

იმდენად, რამდენადაც მენეჯმენტი არის შრომითი კოლექტივის სოციალურ-ფსიქოლოგიური მართვა, ქართული ხასიათი ყველაზე მეტად შეესაბამება ამ მოთხოვნას, ამიტომ უნდა შეიქმნას ქართული ხასიათის გათვალისწინებული მენეჯმენტის მოდელი, რომელიც იქმნება წარმატებული, ერთადერთი და მოერგება მხოლოდ საქართველოს.